# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№40-41 (9.850)

20 - 27 ოქტომბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## მოკრივეთა წარმატება



გვ. 10

## „მე, საქართველოს პრეზიდენტი...“

გვ. 7

## მინიერი ცხოვრების ფილოსოფია, ანუ, ვასწავლოთ ბავშვებს ჭადრაკი



გვ. 4

## პროფესიული სტანდარტი და ობიექტურობა- არჩევნების მიზანი



გვ. 2



გვ.7

## ვინ არიან პრეზიდენტობის კანდიდატები?!




თქვენი ხმა მნიშვნელოვანია!




## დედოფლისწყაროელი ლაშა ბექაური მსოფლიო ჩემპიონია - პლანეტის უძლიერესი ფალავანი



ქართველმა ძიუდოისტმა ლაშა ბექაურმა ნასაუში (ბაჰამის კუნძულები) მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში შეჯიბრების ფინალში ბექაურმა იაპონელ სანშირო მურაოს სძლია. გამარჯვებისთვის ქართველ ძიუდოისტს მხოლოდ 37 წამი დასჭირდა.



გვ. 2

## ვის აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

## ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-ის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 28 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

# პროფესიული სტანდარტი და ობიექტურობა-არჩევნების მიზანი

***პირდაპირი წესით ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების გამართვამდე რამდენიმე დღე რჩება. ამომრჩეველთა ერთიან სიაში, დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში სულ 21 802 ამომრჩეველია რეგისტრირებული. გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა, რამდენად მზადყოფნაშია დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისია და მოხდა თუ არა საუბნო კომისიის წევრების გადამზადება.***

ამჯერად დედოფლისწყაროში კვლავ 23 საარჩევნო უბანი იმოქმედებს. თუმცა, ცვლილებების თანახმად, თითოეულ საუბნო-საარჩევნო კომისიას 13-ის ნაცვლად 12 წევრი ეყოლება. ცესკო-მ წევრთა ოპტიმიზაცია მოახდინა, თუმცა, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს კომისიაში საკუთარი წევრი ეყოლება. საუბნო კომისიები შესაბამის შენობებში უკვე მუშაობენ, დაკომპლექტებულია ყველა კომისია და არჩეულია თავმჯდომარეები, მოადგილეები და მდივნები. გაიზარდა ადაპტირებული საარჩევნო უბნების ოდენობაც.

მანანა ლამაზოშვილი (დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის მდივანი): „აქტიურად მიმდინარეობს კომისიის წევრების გადამზადება. გაგრძელდა საარჩევნო უბნების ადაპტირების პროცესი, რათა უნარშეზღუდულ ამომრჩევლებსაც ხელი შევუწყოთ. 7 ადაპტირებული შენობაა, ხოლო სამში მარტივი, ერთჯერადი ადაპტაციის შესაძლებლობაა. გასული წლებისგან განსხვავებით ამჯერად მოხდა ზემო ქედის №12-ე და არხილოსკალოს 14-ე საარჩევნო უბნის ადაპტირება შესაბამისი პანდუსებით. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა საკუთარი სახსრებით მოახდინა ადაპტაციის პროცესის დაფინანსება. ზოგადად ეს შენობები მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და დროებით სარგებლობაში გადასცემს ცესკო-ს. ამას გარდა, პერიოდულად სოფლებში გავდივართ და მოხალისეებთან ერთად ამომრჩეველს ვესაუბრებით. ვარიგებთ ბროშურებს, კალენდრებს. მოსახლეობა კარგი განწყობით გვხვდება. გვისმენენ და მათთვის საინტერესო კითხვებს გვისვამენ. ძირითადად ვინ რა მისამართზეა ჩაწერილი, ან სად უნდა განახორციელონ ხმა, ამ შინაარსის შეკითხვები ჭარბობს ხოლმე. უნდა ითქვას, რომ ამომრჩეველი ინფორმირებულია, რა სახის არჩევნები ტარდება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენს რაიონში არ არის მასიურად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლები, ამიტომ მხოლოდ ქართულენოვანი ბიულეტენები შემოვა და საგანგებოდ უმცირესობებისთვის დაბეჭდილი ბიულეტენების შემოტანის აუცილებლობა არ დგას. გასულ წლამდე ვიცით, რომ თითოეული საუბნო კომისია 13 წევრით კომპლექტდებოდა, ახლა კი შეიცვალა და 12 წევრით დავაკომპლექტეთ. თუმცა, ყველა სუბიექტის წარმომადგენელი იქნება უბანზე წარმოდგენილი. კოდექსის თანახმად, არჩევნებამდე ბართვას ვაძლევთ.

მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა უბანი პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტდეს. უპირატესობა მივანიჭეთ გამოცდილების მქონე კადრებს. ამას გარდა, ბოლო ორი წელია ჩვენთან, ადგილზე მიმდინარეობს გადამზადების კურსები. 2017-18 წლებში ეტაპობრივად ტარდებოდა გადამზადების კურსები, რამაც საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია. ბევრი მსურველი იყო, რომელთაც ტრენინგებს საოლქო კომისიის თავმჯდომარე ნინო მჭედლიშვილი უტარებდა. ბევრმა მიიღო არჩევნებისთვის საჭირო უნარჩვევები და კურსის გავლის შემდეგ სერთიფიკატები გადაეცათ. მათ, ვინც კურსის გავლის შემდეგ ტესტირება წარმატებით



ერთი თვით ადრე იწყებენ საუბნო კომისიები მუშაობას. დედოფლისწყაროს ოლქში საუბნო კომისიის პირველი სხდომები 26 სექტემბერს ჩატარდა. 23-ივე საუბნო კომისია შეიკრიბა, მოხდა თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის არჩევა, გაცნობა. ყველა უბანმა უკვე დაასრულა ამომრჩევლის სპეციალური ბარათების მისამართებზე დარიგება, სადაც თითოეული ამომრჩევლის რიგითი ნომერია დაფიქსირებული. უბნები ასევე ახდენენ გადასატანი სპეციალური სიის შედგენა-გადამოწმებას. უბნებზე მიდიან ამომრჩევლებიც და თავად ცდილობენ საკუთარი თავის მოძებნას ერთიან სიაში და ცვლილებების შეტანა ხდება. უბნები იღებენ განცხადებებსაც. არის შემთხვევები, რომ გადასატანი ყუთის მსურველთა რიცხვი 3%-ს აღემატება, ასეთ შემთხვევაში, როცა მოთხოვნა დიდია, დამატებით ნე-

გაიარეს და სათანადო ქულები მოიპოვეს, მიეცათ შესაბამისი სერთიფიკატი. უნდა ითქვას, რომ რეგისტრირებული მსურველების დიდმა ნაწილმა წარმატებით გაიარა კურსი. 2017 წელს 42 მსურველი დარეგისტრირდა, რომელთაგან 37-მა წარმატებით დაასრულა, ხოლო 2018 წელს 53 მსურველიდან 49 მათგანს გადაეცა სერთიფიკატი.

წელს პირველად შემთხვევაა, რომ კომისიის წევრების დანიშვნა ელექტრონული სისტემით მოხდა. ინოვაციური მიდგომა დაინერგა და პროცესი ბევრად გამარტივდა. პარტიებს ზედმეტი ძალისხმევისა და საოლქო კომისიაში მისვლის გარეშე, პროგრამაშივე შეეძლოთ დაერეგისტრირებინათ მათი წარმომადგენლები. კომისიის წევრების გარდა, ელექტრონულად მოხდა დამკვირვებლების, ან წარმომადგენლების დანიშვნაც. რაც შეეხება ამომრჩეველთა ერთიან სიას, გასული წლის არჩევნებთან შედარებით დედოფლისწყაროში ამომრჩეველთა საერთო ოდენობა მცირედით შემცირებულია. ამომრჩეველთა ერთიანი სია იუსტიციის სახლიდან იგზავნება, სწორდება და შემდეგ ცესკო-ს მეშვეობით საოლქო კომისიებს გვეგზავნება. ამჟამად 21 802 ამომრჩეველი გვყავს, თუმცა სიის დაზუსტება კიდევ მიმდინარეობს, ცვლილებების შეტანის ვადა ჯერ არ ამოწურულა და შესაძლოა, მცირედით შეიცვალოს".

***რამდენიმე დღის წინ ყველა დონის საარჩევნო მოხელემ მთელი ქვეყნის მასშტაბით ეთიკის კოდექსს ხელი ერთდროულად მოაწერა. ამ დოკუმენტით ისინი თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საკუთარი ფუნქციების შესრულებისას იქნებიან სამართლიანები, მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები; იქნებიან პროფესიონალები და იმოქმედებენ გამჭვირვალედ; უზრუნველყოფენ საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირებისთვის თანაბარ და სამართლიან საარჩევნო გარემოს.***

„ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მთელმა საარჩევნო ადმინისტრაციამ, 73 საოლქო და 3 637 საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრმა, ერთდროულად ხელი მოვაწერეთ ეთიკის კოდექსს, ეთიკის იმ პრინციპებს, რომელიც უნდა იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის წარმმართველი. ეს გახლავთ პირველ რიგში კანონის პატივისცემა, ჩვენი დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პროფესიონალური სტანდარტი და პროფესიული საქმიანობა. კოდექსზე ხელმოწერით ჩვენ, საარჩევნო ადმინისტრაცია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ სწორედ ამ პრინციპების დაცვით ჩავატარებთ ძალიან კარგად ორგანიზებულ და გამჭვირვალე არჩევნებს", – აღნიშნა ცესკოს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ.

მისივე განმარტებით, ეთიკის კოდექსი განახლდა და წელს აქცენტი უფრო მეტად გაკეთებულია გამჭვირვალობისა და საჯაროობის ხელშეწყობის პრინციპზე.

ილია მარტყოფლიშვილი

# საპრეზიდენტო არჩევნების წინ...

***2018 წლის 28 ოქტომბერს ქართველი ხალხი, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს ბოლოჯერ, თანაც უკვე 6 წლის ვადით აირჩევს. თუ არაფერი შეიცვალა, 2024 წელს ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები, რის შემდეგაც მომდევნო პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით.***

2018 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია ოფიციალურად მიიღო. ის ძველისგან შინაარსითა და ფორმით განსხვავდება. სახელმწიფოს უზენაესი კანონის მიხედვით, მთლიანად იცვლება ქვეყნის მართვის მოდელი, სახელისუფლებო შტოებს შორის ძალთა ბალანსი და არჩევნების სისტემა. საქართველო საპარლამენტო ქვეყანა ხდება და პრეზიდენტის ფუნქციებიც მცირდება.

„შირაქმა" მოსახლეობას გააცნო რამდენიმე ხაზგასასმელი ცვლილება კონსტიტუციიდან და შევეცადეთ, გაგვეგო მათი აზრი და მოლოდინი მიმდინარე პოლიტიკური ციებ-ცხელების შესახებ. გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოლოდინი ცვლილებებთან დაკავშირებით დიდია და უმეტესწილად, დადებითი, რაც აისახება არჩევნების დროს ამომრჩევლის აქტივობით.

ამირანი – **64 წლის:** მე მგონი, ეს არჩევნები სამართლიანი იქნება და ჩვენი არჩეული პრეზიდენტი მოიცლის გლეხისთვის.

აჩიკო – **56 წლის:** არანაირი არჩევნები, რა მნიშვნელობა აქვს, რა ერქმევა პრეზიდენტს, ხალხზე მაინც არავინ იზრუნებს!

ნინო – **35 წლის**: არჩევნების შემდეგ გამოჩნდება, მომდევნო 6 წელი როგორი გვექნება. მოლოდინი დადებითი მაქვს

ირინა – **28წლის**: არჩევნებს ვენდობი, მოლოდინი დიდი მაქვს.

ლალი – **48 წლის:** მჯერა არჩევნების.

ირმა – **38 წლის:** არ ვიცი, რა გითხრათ. მთავარია, ხალხს გამოადგნენ. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოვა მთავრობაში - გლეხისთვის მაინც არავინ არაფერს გააკეთებს.

***2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში პრეზიდენტობისთვის 25 კანდიდატი იყრის კენჭს. მართალია, პრეზიდენტს იმდენი უფლებამოსილება აღარ ექნება, მაგრამ, ის ისევ იქნება ჩვენი ხმა და სახე მსოფლიოში. ამიტომ, აუცილებლად წადით არჩევნებზე, რათა არ დაიკარგოს ან არ მიისაკუთრონ თქვენი ხმა. არჩევანის გაკეთებამდე კარგად დაფიქრდით, გაიაზრეთ, ვინ საუბრობს გულით და ვინ საუბრობს ხალხის მოსატყუებლად, მიიღეთ გონივრული გადაწყვეტილება. იმარჯვებს ის, ვისაც 50 %-ზე 1 ხმით მეტი მაინც ექნება (სხვა შემთხვევაში ჩატარდება მეორე ტური), ამიტომ, დაიმახსოვრეთ – ყველა ხმა მნიშვნელოვანია!***

ინესა ამბარიანი

# ვის აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

**აქტიური საარჩევნო უფლება** (არჩევნებში ხმის მიცემის უფლება) აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, განათლებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა. გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან საარჩევნო კოდექსის მიხედვით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება.

**პასიური საარჩევნო უფლება** (არჩევნებში მონაწილეობის უფლება) აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან მის შესაბამისად საარჩევნო კოდექსით ან „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით შეზღუდული აქვთ პასიური საარჩევნო უფლება. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის

უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფება



# ნიკოლოზ ჯანიაშვილი- ჩვენ ხელი გვიდევს მოსახლეობის პულსზე და მუდმივად გვაინტერესებს, ვის რა უჭირს ან ულხინს...

**ექვსი წლის წინ, როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ხალხის მთავარი დაკვეთა დემოკრატია, ღირსების აღდგენა და ადამიანის უფლებების დაცვა იყო, თუმცა, ამასთან ერთად, ეკონომიკური წინსვლა, დასაქმება და ხალხის კეთილდღეობა მოსახლეობის სურვილთან ერთად მთავრობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის აღდგენა, წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება, რამდენიმე წელია, შეუქცევად პროცესად იქცა. მუნიციპალიტეტის მერი აცხადებს, რომ ის და მისი გუნდი ახალი, თანამედროვე გამოწვევების წინაშე დგას და განვითარების ახალ ეტაპზე გადადის.**

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი-** რომ აღარაფერი ვთქვათ ბოლო 6 წელიწადში გაკეთებულ საქმეებზე, 2018 წელს მრავალი რამ გაკეთდა. ჩვენი მოსახლეობა ამას ისედაც ხედავს. გვიხარია და გვეამაყება ის, რომ ამ 6 წლის მანძილზე ისეთი პრობლემები გადავჭერით, რომელიც დედოფლისწყაროელებისთვის, მათ შორის ჩვენთვისაც, რამდენიმე წლის წინ საოცნებო და წარმოუდგენელიც კი იყო. ცოტა ხანს ამ 6 წელიწადს რომ თავი დავანებოთ, გვიხარია, მიმდინარე წელს სხვადასხვა მიმართულებით ბევრი პროექტის განხორციელება დაიწყო. აღსანიშნავია ის, რომ დღეის მდგომარეობით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორ სკოლაში სრული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, საუბარია, ზემო ქედის №2 და გამარჯვების საჯარო სკოლებზე, რაც საქართველოს მთავრობისა და “მილენიუმის” პროექტის ერთობლივი ღონისძიებებით ხორციელდება, აგრეთვე, პრემიერ-მინისტრის დადგენილებით, სოფელ ზემო მაჩხაანის დამწვარი სკოლის სარეაბილიტაციოდ გამოიყო 5 მლნ 400 ათასი ლარი და სოფელს, უახლოეს ორ წელიწადში, თანამედროვე სტანდარტების სკოლა ექნება. რადგან მაჩხაანზე ვსაუბრობთ, **მინდა, სიხარულით ვამცნო მის მაცხოვრებლებს, რომ ზემო მაჩხაანში არსებულ წყლის პრობლემას წერტილი ესმება. დასრულდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომელიც წლის ბოლომდე განახორციელებს მაჩხაანის ცენტრალური რეზერვუარის რეაბილიტაციას და აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ზემო მაჩხაანის წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. მომავალი წლიდანაც აქტიური სამუშაოები წავა შიდა ქსელების რეაბილიტაციის კუთხით და ის საუკუნოვანი პრობლემა, რომელიც მაჩხაანს აწუხებდა წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, წარსულს ჩაბარდება.** აგრეთვე, აღსანიშნავია ის, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს ზრუნვას საბავშვო ბაღებზე და ყოველწლიურად ვაუმჯობესებთ პირობებს. ეს ეხება როგორც გარემო პირობების გაუმჯობესებას, ასევე მათ კვებას თუ აღმზრდელ-პედაგოგების ანაზღაურებას. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ კახეთის რეგიონში ვართ პირველები, რადგან ბავშვებისთვის ყველაზე საუკეთესო პირობები სწორედ ჩვენს მუნიციპალიტეტშია შექმნილი. დედოფლისწყაროს 17-ივე ბაღში შექმნილია სათანადო გარემო, ყველგან გაკეთებულია რემონტი, კეთილმოწყობილია ეზო- ბავშვთა გასართობი ატრაქციონებით. ჩვენ გადავდივართ განვითარების ახალ ეტაპზე- სოფელ არხილოსკალოში, სადაც აღსაზრდელთა კონტიგენტის ზრდამ მისი პატარა ფართის გაზრდის აუცილებლობა გამოიწვია. წელს ხორციელდება ახალი ბაღის მშენებლობა, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება და ზამთრის არდადეგების შემდეგ, ბავშვები უფრო კომფორტულ გარემოში შევლენ.

**გრძელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაც ჩვენი სავიზიტო ბარათია და ჩვენი სტუმრებისა და ვიზიტორების აღფრთოვანებას იწვევს.** სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში აღარ დარჩა არც ერთი ქუჩა, რომელზეც ასფალტის საფარი მოუწყობელია, მხოლოდ რამოდენიმე ორლობე და მცირე შესახვევი დაგვრჩა და მათი კეთილმოწყობაც მომავალ წელს აუცილებლად მოხდება. ახალი ტიპის ლედ განათების სისტემამ გაამართლა და მოსახლეობაც კმაყოფილია, რადგან ხარისხიანი გარეგანათება კარგად ემსახურება მათ.

ჩვენ უკვე გადავედით საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოების კეთილმოწყობაზე და ასევე, რაც ძალიან მახარებს, გადავედით სოფლების შიდა გზების შეკეთებაზე, რომელიც შეუქცევადი პროცესია. მაგრამ დამეთანხმებით, რომ საგზაო სამუშაოები არაფერია იმ პროექტთან შედარებით, რომელსაც ქედების ზონის მოსახლეობის გაზიფიცირება ჰქვია. ამ ზონის 6 სოფელი, რომელიც ბუნებრივი აირის გარეშე იყო დარჩენილი და მოსახლეობას საკმაოდ რთულ პირობებში უხდებოდათ ზამთარში გათბობის უზრუნველყოფა, ასევე, მთელი წლის მანძილზე, საშეშე მერქანზე იყო ძალიან დიდი მოთხოვნა, და ეს იმ ფონზე, როდესაც მუნიციპალიტეტს ხე-ტყის რესურსი არ გააჩნია, ისედაც მწირი ტყეების გაჩეხვა ხდებოდა, რამაც ეკოლოგიურ კატასტროფამდე შეიძლება მიგვიყვანოს. წელს, მართლაც, უპრეცედენტო პროექტის განხორციელება დაიწყო. 12 მლნ-მდე ლარი გამოიყო მთავრობის მიერ, სოფელ ქვემო ქედში სამუშაოები, ფაქტიურად, უკვე დასრულებულია, აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს არხილოსკალოში,. სამთაწყარო-ფიროსმანსა და საბათლოში. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ორი პატარა სოფელი-თავწყარო და ჭოეთიც გაზიფიცირდა, აქ მხოლოდ გაზის ჩართვაღაა საჭირო.

გაზიფიცირების სამუშაოების შემდეგ, ქედების ზონაში, სადაც ჩვენი მოსახლეობის 40% ცხოვრობს, ცისფერი ალი აინთება.

**გაუმჯობესდა სოციალური პაკეტი. 6 წლის განმავლობაში ის რამდენჯერმე გაიზარდა, როგორც თანხობრივად, ასევე თვისობრივად. თითქმის წელიწადი არ გავა, რომ რამდენიმე ცვლილება არ შევიდეს ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალური პაკეტის გაზრდის მიზნით. ჩვენ მუდმივად ვაკვირდებით მოსახლეობის მოთხოვნას, ხდება მათი პრობლემების შესწავლა და მათი საჭიროებების შესაბამისად ვახდენთ რეაგირებას.** ბოლო პერიოდში გაიზარდა მრავალშვილიან ოჯახთა, დიალიზზე მყოფ პაციენტთა, აუტიზმისა და დაუნის სპექტრის წარმომადგენელთა დახმარების პაკეტი, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ხელი გვიდევს მოსახლეობის პულსზე და მუდმივად გვაინტერესებს, ვის რა უჭირს ან ულხინს. ვცდილობთ, გავითვალისწინოთ მათი ყველა ინტერესი.










# მიწიერი ცხოვრების ფილოსოფია, ანუ, ვასწავლოთ ბავშვებს ჭადრაკი

ჭადრაკი მოხსენიებულია მრავალ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროსა თუ ძეგლში. პირველად მოხსენიებულია ბასილი დიდის თხზულებაში „ექუსთა დღეთა“ რომელიც XI საუკუნის საეკლესიო მოღაწემ გიორგი ათომელმა გადმოაქართულა. სავარაუდოა რომ ჭადრაკი ჩვენში ან ინდოელი ვაჭრების, ან სპარსელების შემოტანილია. ყოველ შემთხვევაში იგი საქართველოში არაბთა მოსვლამდე იყო ცნობილი. თანდათან ჭადრაკმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართველის კაცის ცხოვრებაში, იმდენად საპატიო რომ ქალს მზითვად გენიალურ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ.

სამწუხაროდ XIX საუკუნემდე არ არის შემორჩენილი ცნობები ქართველ მოჭადრაკეთა შესახებ, თუმცა ასეთები რომ იყვნენ ისიც ადასტურებს რომ ნაპოვნია XII, XV და XVII საუკუნეების ქართული ჭადრაკის კომპლექტები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჭადრაკზე მეტი ცნობებია; „შახმატნი ლისტოკის“ (1878 №1) იტყობინებოდა: „შარშანდელი წლის სექტემბრიდან თბილისში დაარსდა ჭადრაკის მოყვარულთა წრე, რომელიც კვირაში ერთხელ იკრიბება დამფუძნებელთა ბინებში“. იგივე ნომერი იუწყებოდა რომ მოეწყო მატჩი თბილისელ ა.სმიტენსა და მოსკოველ ოსტატ ა.სოლოვცოვს შორის. იგივე ჟურნალი (1978 №5-6) იუწყება რომ თბილისში გაიმართა მატჩი ა.სმიტენსა და ა.დადაიანს შორის, რომელიც დადიანის გამარჯვებით დასრულებულა. ამის შემდეგ დადიანს სოლოვცევისთვისაც მოუგია მატჩი.

საერთოდ ანდრია დადიანი პირველი ქართველი მოჭადრაკეა, რომელიც გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. იგი საკმაოდ ცნობილი მოჭადრაკე იყო. ამავე დროს თანამშრომლობდა საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთებთან. 1892 წელს ინგლისურმა საჭდრაკო ჟურნალმა „ჩესს მანსლმა“ (№6-7) თითქმის მთელი ნომერი დადიანის პიროვნებას და მის შემოქმედებას მიუძღვნა. ჭადრაკთან მეგობრობდნენ ცნობილია ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვანო მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა გამოჩენილი ქართველები. ილიას ,,ივერია'' ხშირად წერდა ჭადრაკზე, ხოლო ჩიგორინ-ტარაშის მატჩის შემაჯამებელი სტატია თავად ილიამ დაწერა.

ცნობილია იმდროინდელი ძლიერი მოჭადრაკეების სახელებიც. ესენი იყვნენ ხარლამპე სირბილაძე, ფოტინე ჩიქოვანი-ასათიანისა, მამია გურიელი, ვარადებულ ჩიქოვანი, გიორგი ბებურიშვილი და სხვა.

XX საუკუნის 20-ანი წლებიდან ჭადრაკი სახალხო თამაში გახდა. გახშირდა ტურნირები, მატჩები. თბილისში ხშირად ჩამოდიოდნენ ცნობილი რუსი ოსტატები. თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდნენ ცნობილი მოჭადრაკეები ანდრეი სმოროდინსკი, ვიქტორ გოგლიძე, ნიკოლოზ სოროკინი.

1922 წელს გაიმართა თბილისელ მოჭადრაკეთა პირველი ტურნირი. 1923 წელს კი გაიხსნა საჭადრაკო კლუბი. 1926 წელს თბილისში მოეწყო მასობრივი ტურნირი, რომელშიც 600 კაცი მონაწილეობდა. იმავე წელს გამოვიდა პირველი საჭადრაკო წიგნი ქართულ ენაზე. 1928 წელს ჩატარდა საქართველოს ვაჟთა პირველი ჩემპიონატი. იმავე წელს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პირველი ჩემპიონატიც. 1930 წელს თბილისში გაიმართა მატჩი ვიქტორ გოგლიძისა და მოსკოველ ოსტატ, ვლადიმერ ნენაროკოვის მატჩი. გოგლიძემ ეს მატჩი მოიგო (7-4) და პირველს ქართველთგან მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

ვაჟებს არც ქალები ჩამორჩნენ. 1927 წელს გაიმართა თბილისის პირველი ჩემპიონატი, ხოლო 1935 წელს თბილისმა უკვე საქართველოს პირველ ჩემპიონტს უმასპინძლა. 50-ანი წლების დასაწყისში თბილისში გაიხსნა ბავშვთა საჭადრაკო სკოლა. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში არსებულმა ამ ჭადრაკის სამჭედლომ ბევრი ძლიერი მოჭადრაკე გამოიყვანა საჭადრაკო ასპარეზზე. უკვე 1956 წელს ალაპარაკდნენ პატარა ზუგდიდელ გოგონაზე, ნონა გაფრინდაშვილზე. სულ რაღაც ექვს წელიწადში კი ნონამ მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინიც დაიდგა თავზე.

ნონას გზას ბევრი მიყვა. ნანა ალესანდრია, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი ცოტა ხანში დაუძველ მეტოქეებად იქცნენ უცხოელი თუ საბჭოთა მოჭადრაკეებისათვის. წარმატებები გაგრძელდა დამოუკიდებლობის ხანაშიც. მოვიდა ახალი ნიჭიერი თობა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ქალთა საჭადრაკო ოლიმპიდის ოთხჯერ მოგება.

ქალებზე ნაკლებად, მაგრამ მაინც სათანადო სიმაღლეზე იდგნენ ვაჟებიც. პირველი ქართველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, რომან ჯინჯიხაშვილი (რომელიც შემდგომ აშშ-ს ჩემპიონიც გახდა და ოლიმპიადაზე ამ გუნდის ნაკრებს ედგა სათვეში), თამაზ გიორგაძე, ელიზბარ უბილავა, ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე და ახალი თაობის მოჭადრაკეები, რომლებიც ღირსეულად ასპარეზობენ ნებისმიერი დონის საერთაშორისო ტურნირებში.

საქვეყნოდ ცნობილი არიან ჩვენი საჭადრაკო კომპოზიტორები: გია ნადარეიშვილი, იოსებ კრიხელი, დავით გურგენიძე და სხვები. ჭადრაკის განვითარებას და პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი ჭადრაკის პროპაგანდამ ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით. თბილისში გამოდიოდა საჭადრაკო გაზეთი „მერანი“. გამოდიოდა წიგნები ქართველ მოჭადრაკეებზე და მათ შემოქმედებაზე. განსაკუთრებით აქტიურობდა ამ მხრივ თამაზ გიორგაძე, რომლის კალამსაც ეკუთვნის მრავალი საინტერესო წიგნი ჭადრაკზე, დაწყებული „ჭადრაკის ანბანიდან“ დამთავრებული მსოფლიოს პირველობების მატჩებით.







9 ოქტომბერს ჩატარდა ამირან ბილიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში. ტურნირის მონაწილეები სამ ასაკობრივ კატეგორიაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მოჭადრაკეთა შორის დაძაბული პაექრობის შემდეგ ადგილები ასე გადანაწილდა:

უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში საპრიზო ადგილები დაიკავეს: მერაბ ალადაშვილმა ( I ადგილი), დავით გოგიშვილმა (II ადგილი), იოსებ ბალაშვილმა (III ადგილი);

საშუალო ასაკის მოჭადრაკეებში I ადგილის მფლობელი გახდა მარიამ უთრუთაშვილი, მეორე ადგილი წილად ხვდა ნიკა გოგაშვილს, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა-დავით დიასამიძე.

უფროს ასაკობრივ კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა გიორგი კიკილაშვილმა, მეორე ადგილის მფლობელი გახდა გიგა ყოჩიაშვილი, ხოლო მესამის – ალექსი მკრტჩიანი.

გამარჯვებულები დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. უკვე მეოთხე წელია, რაც ეს ტურნირი ტრადიციად იქცა, თუმცა საქართველოში, სადაც ჭადრაკი ყოველთვის იყო ინტელექტუალური და, ამავე დროს, პრესტიჟული სპორტის სახეობა, დედოფლისწყაროში მისდამი ინტერესი ნაკლებია. ეს ტენდენცია ახლახანს ჩატარებულმა ტურნირმაც დაადასტურა. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „შირაქი“ ტურნირის პირველი ადგილის მფლობელს გიორგი კიკილაშვილს ესაუბრა: „ამირან ბილიაშვილის სახელობის ტურნირი ტრადიციად ჩამოყალიბდა, რაც ძალიან კარგია.მასში მონაწილეობას იღებდა, როგორც მოსწავლე-ახალგაზრდობა, ასევე უფროსი თაობის წარმომადგენლებიც. სამწუხაროდ, უფროს თაობაში ქალბატონებს არ მიუღიათ მონაწილეობა და, ასევე, ძალიან მოკრძალებულად იყვნენ წარმოდგენილნი დედოფლისწყაროს სოფლები. ეს სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ჭადრაკის პოპულარიზაციას და მის განვითარებას სჭირდება უფრო სხვანაირი ძალისხმევა. რომ ჩვენ, ქართველმა ხალხმა, დავიბრუნოთ ის ტრადიციები, რომლებიც გვქონდა და ახლაც გვაქვს. ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ ქალთა ჭადრაკი დედოფლისწყაროში, პრაქტიკულად, მკვდარია.

ადამიანი არ შედგება მხოლოდ სხეულისგან, არამედ მისი შემადგენელი ნაწილია ფსიქიკა და სული. თუ ჩვენ სხვადასხვა სპორტული საშუალებებით ვზრუნავთ სხეულის გაჯანსაღებაზე, აზროვნების ძირითადი გამაჯანსაღებელი საშუალება არის ჭადრაკი. ჭადრაკისნაირად ამ მეორე ელემენტს ვერაფერი ვერ ანვითარებს, თუნდაც ისეთი ინტელექტუალური თამაში, როგორიცაა „რა, სად, როდის?“

ჭადრაკი ადამიანში ანვითარებს: რთული სიტუაციებიდან სწორი გამოსავლის პოვნას; პრობლემებთან შეჯახებისას არა ემოციებით, არამედ გონებით მართვას და ურთულეს სიტუაციებშიც კი იმედის არ დაკარგვას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ჭადრაკი, ეს არის მიწიერი ცხოვრების ფილოსოფია და მშობლებისგან ამის ვერდანახვა ნიშნავს იმას, რომ ან თვითონ ჭადრაკის მესვეურები შესაბამის პოპულარიზაციას ვერ უკეთებენ მას, ან პრობლემა მშობლების დამოკიდებულებაშია ჭადრაკის მიმართ.

ტურნირის მოზრდილ ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეებიდან მინდა გამოვყო არბოშიკისა და ფიროსმანის სკოლების ის პედაგოგები, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ იმისათვის, რომ შეაყვარონ მოსწავლეებს ჭადრაკი და ამით ასწავლონ ბავშვებს ცხოვრების ფილოსოფია. მინდა გამოვყო ორი ახალგაზრდა – ალექსანდრე მკრტიჩიანი და გიგა ყოჩიაშვილი. მჯერა, ისინი ნებისმიერ რესპუბლიკურ ტურნირშიც ღირსეულად წარადგენენ ჩვენს მუნიციპალიტეტს.

ამირან ბილიაშვილს პირადად ვიცნობდი. როდესაც მე ბავშვი ვიყავი, ის უკვე წარმატებული და შემდგარი ადამიანი იყო. ბავშვობიდან მოყოლებული, ყოველთვის ვგრძნობდი და ვხედავდი მის სიყვარულს ჭადრაკის მიმართ. უყვარდა პოეზია, და ვისაც მასთან ჭადრაკი უთამაშია, ალბათ, მიხვდებოდა, რომ პოეზიის ელემენტები შემოჰქონდა ჭადრაკში. მოხარული ვარ, რომ ამ ტურნირმა ტრადიციული სახე მიიღო და იმედია, მომავალში მისი ფორმატი უფრო დაიხვეწება და უფრო ღირსეული გახდება, ისეთი, როგორიც შეეფერება ამირან ბილიაშვილის ხსოვნას“.




ინგა შიოლაშვილი

# ოცნებიდან-რეალობამდე

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების მოცულობა.

გაიზარდა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილითუ 2013 წელს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 4 მლნ 383 ათასი ლარი იყო, 2017 წლის მდგომარეობით -6 მლნ 351 ათას ლარი შეადგინა; ასევე გაიზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი- 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით, 5 724, 7 ათასი ლარი მიიღო. 2018 წლის მდგომარეობით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 6 121, 9 ათას ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

აგრარული სექტორი წამყვანი დარგია დედოფლისწყაროსთვის. სოფლის მეურნეობის განვითარება, პროდუქციის ზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, განხორციელდა და კვლავ გრძელდება:

სამელიორაციო სამუშაოები, რომელზეც, 2015-2018 წლებში დახარჯულია 11, 1 მლნ ლარი. ამ პროექტის წყალობით, მნიშვნელოვნად გაიზარდა გასარწყავებული ფართობი(2013 წელი- 0 ჰა; 2018 წელი-710 ჰა). სამელიორაციო სისტემის აღდგენის შემდეგ, სამთაწყაროსა და ფიროსმანში მცხოვრები მევენახეები მიუბრუნდნენ გაჩეხილ და მიტოვებულ ნავენახარებს და აღადგინეს ისინი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 2013-2017 წლებში, ჯამურად გადამუშავდა 14,3 ათასი ტონა ყურძენი, რომლის ღირებულება 15,2 მლნ ლარია.

თინა ზვიადაური- **ადრე რთველი ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ყველას ახსოვს ის პერიოდი, როცა ღვინის ქარხნებთან დაუსრულებელი რიგები იდგა, ჩვენს მევენახეებს კი ყურძენი მანქანის ძარებზე უფუჭდებოდათ. მადლობა ღმერთს, ეს ეტაპი წარსულს ჩაბარდა, ახლა უპრობლემოდ ვაბარებთ ყურძენს და თანხასაც ადგილზე გვიხდიან.**

პროგრამით - „დანერგე მომავალი“, დედოფლისწყაროში 5 პროექტი, ჯამურად, 2 მლნ 827 ათასი ლარით დაფინანსდა.

გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, უკვე შექმნილია 9 კოოპერატივი, სადაც სულ 63 ფერმერია (მეპაიე) გაერთიანებული.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით, 2014-2018 წლებში, ჯამურად დაზღვეულია 1 217 ჰა და ფერმერებისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი 146 ათასი ლარით ანაზღაურდა.

ნონა ბრაჭულიშვილი: **-ზემო ქედში მიწები არ მუშავდებოდა. ხალხმა იმედი დაკარგა და სოფლიდან ქალაქში წავიდა. მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ვაუჩერები დაარიგა, ბევრი ჩამოვიდა სოფელში და მიწის დამუშავება დაიწყო. ამინდმაც ხელი შეგვიწყო და, ოთხი წლის მანძილზე, სულ კარგი მოსავალი მოვიდა. ამ ფაქტორმა ხალხი არა მარტო მიწას დაუბრუნა, არამედ სოფელსაც- ბევრმა დაიწყო მიტოვებული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და დაბრუნებაზე ფიქრი.**





### მეწარმეობის განვითარება

„ერთიანი აგროპროექტის” ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში ხორცის გადამამუშავებელი ახალი საწარმო ,,ჯეონატურალსი“ გაიხსნა.

საწარმოში, წელიწადში 100 ტონაზე მეტი სხვადასხვა სახეობის ხორცის კონსერვების წარმოება იგეგმება.

პროდუქციის რეალიზაცია, პირველ ეტაპზე, ადგილობრივ ბაზარზე მოხდება. სამომავალოდ იგეგმება ექსპორტზე გატანაც.

საწარმოში, ჯამურად, 380,660 დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 190,300 დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი, ხოლო 152,300 დოლარი სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტია.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამით (ე. წ. 5000-ლარიანი გრანტები), ბოლო წლებში, დედოფლისწყაროში, სუბსიდიის სახით გაიცა 425 000 ლარი, რითაც განხორციელდა 50 პროექტი. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტს, 2018 წელს ახალი პირობებით განაგრძობს-იზრდება გრანტის მოცულობა 20 000 ლარამდე და არსებულ ბენეფიციარებს ეძლევათ პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა.

### ინფრასტრუქტურული პროექტები

დედოფლისწყაროში უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ქედების ზონის სოფლებთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა მთავარ ინფრასტრუქტურულ პროექტად შეიძლება შეფასდეს, ისევე, როგორც ამ ზონის სოფლების წყლით უზრუნველყოფის საკითხი. ქედში სტუმრობისას, თუ წყალს მოითხოვდი, ხუმრობით გპასუხობდნენ, რომ „აქ წყლის გარდა ნებისმიერი სასმელის მოთხოვნა შეგეძლო“. წყალი აქ ყველაზე დიდ ფუფუნებად ითვლებოდა. წყალმომარაგების პროექტის განხორციელებას ქედელები, რამდენიმე წლის წინ, სკეპტიკურად შეხვდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ეს არარეალური დაპირება იყო და, მალე „ჩაილურის წყალს“ დალევდა, თუმცა, მათი სკეპტიციზმი არ გამართლდა და ქედების ზონის სამივე სოფლის მოსახლეობა დღეს წყალს საკუთარი ონკანიდან სვამს.

მაყვალა წიკლაური- **ზემო ქედში გზა და წყალი აუხდენელი ოცნება იყო, დღეს ეს რეალობაა. პირობების გაუმჯობესებამ ადამიანები მშობლიურ სოფელს დაუბრუნა. საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილებაც გამოიყენეს და აქ სხვადასხვა კულტურის მოყვანა დაიწყეს. ზოგმა სასათბურე მეურნეობა მოაწყო, ზოგიერთმა კი თხილის პლანტაცია გააშენა.**

ეთერ ჩოხელი-**ბევრი რამე გაკეთდა ქედებში. ქვემო ქედში, ჩემს ეზოში წყალი თუ მომივიდოდა, ამაზე ვერც ვიოცნებებდი. საშინელი,**





**ოღროჩოღრო გზა სტუმრებს აფრთხობდა და თუ აუცილებელი საქმე არ ჰქონდათ, აქ ჩამოსვლას ყველა ერიდებოდა. ახლა სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. იმედი მომეცა, რომ ბევრი წასული დაუბრუნდება სოფელს და უბანი კვლავ ახმაურდება.**

ქედების ზონაში კიდევ ერთი

# ოცნებიდან-რეალობამდე

გრანდიოზული პროექტის განხორციელება დაიწყო- სოფლების გაზიფიცირების სამუშაოები. ამ ზონას ბუნებრივი აირი კომუნისტების დროსაც კი არ ჰქონია. ამიტომ ქედელები მას ერთხმად „საუკუნის პროექტს“ უწოდებენ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვემო ქედი -არხილოსკალოს გაზიფიცირება, რომლის დასრულების შემდეგაც მოხდება დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენა.

უკვე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია და უახლოეს მომავალში სამუშაოები ზემო ქედსა და ცენტრალურ მაგისტრალზეც დაიწყება.





თეა ბურდული-**„ქედებისთვის ძალიან ბევრი რამე გაკეთდა. სოფლებში, სადაც არაა არც წყალი, არც გზა და არც ბუნებრივი აირი, ელემენტარულ კომფორტზე საუბარიც კი ზედმეტია. ამიტომ გასაკვირიც არ უნდა იყოს, როცა სოფელს მაცხოვრებლები ტოვებენ და უკეთესი ცხოვრების საძებნელად მიდიან, ზოგი- საზღვარგარეთ, ზოგიც-დედაქალაქში. რამდენიმე წელია, სოფელზე ზრუნვა დაიწყო „ოცნების ხელისუფლებამ“ და შედეგიც არის-უკვე გვაქვს წყალი და ძალიან კარგი გზა. დაიწყო გაზიფიცირების სამუშაოებიც, რაც უფრო კომფორტულს გახდის ცხოვრებას ამ სოფლებში.**






**არხილოსკალოში გახსნილმა იუსტიციის სახლმა, ქედელებს ბევრი პრობლემა მოუხსნა, რაც დოკუმენტაციის მოწესრიგების საკითხებს ეხებოდა და, ამავდროულად, ახალგაზრდების დასაქმებას შეუწყო ხელი“.**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში თითქმის აღარ დარჩა სოფელი, სადაც გზასთან დაკავშირებული პრობლემა მოუგვარებელი დარჩა. რაც შეეხება გზის იმ მონაკვეთებს, რომლებიც კვლავ მოუწესრიგებელია, უკვე დაგეგმილია მათი მოწესრიგება და ხარჯთაღრიცხვაც შედგენილია. გზებთან ერთად მოეწყო კიუვეტები და გარეგანათების სისტემა .

მირზაანი-ზემო მაჩხაანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე სისტემა და დაიგო ასფალტის ორმაგი საფარი.

ვალერი გეგეშიანი- **გზები მოწესრიგდა, მოეწყო ინფრასტრუქტურა, გაკეთდა სპორტული მოედნები ახალგაზრდებისთვის. რას მივიღებ ამისგან?- კარგი გზა და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა ნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, აღარ წავა აქედან და ტურიზმისა და შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის კარგი ნიადაგი შეიქმნება.**

## განათლება

განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

დედოფლისწყაროში ფუნქციონირებს 17 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან-4 ქალაქ დედოფლისწყაროში, ხოლო 13-სოფლად. 2013 წლის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით, საბავშვო ბაღები გახდა უფასო. საგულისხმოა, რომ ეს ტენდენცია სწორედ დედოფლისწყაროდან დაიწყო. ჩვენი რაიონი იყო პირველი, სადაც საბავშვო ბაღების დაფინანსება ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო. ამის შედეგად გაიზარდა როგორც აღსაზრდელთა კონტინგენტი, ასევე დასაქმებულთა რიცხვიც. მნიშვნელოვნად გაიზარდა დედოფლისწყაროში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, განათლების სფეროს ხარჯები, 400 ათასი ლარით განისაზღვრა, 2018 წელს, შესაბამისმა ხარჯებმა ოთხჯერ მეტი-1,6 მლნ ლარი შეადგინა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ თითქმის ყველა ბაღს, რის შედეგადაც ისინი აკმაყოფილებენ შესაბამის სტანდარტს.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2018 წელს, 2013 წელთან შედარებით, აღსაზრდელთა რაოდენობა 436 -დან 970-მდე გაიზარდა, კვების თანხა თითოეულ აღსაზრდელზე - 0,85-დან 3,8 ლარამდე. სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია სკოლამდელი აღზრდის 17 დაწესებულების 18 ჯგუფში, სადაც 258 ბავშვია. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 42 აღმზრდელ-პედაგოგი.

ნონა მანგოშვილი- **ხორნაბუჯის საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, განახლდა ინვენტარი და ავეჯი, სათამაშოები და წიგნებიც შემოიტანეს და ბავშვებისთვის კომფორტული ზონა შეიქმნა. მომავალში იგეგმება საბავშვო ბაღის გაფართოება, რომლის შედეგადაც აღსაზრდელებისთვის მეტი სივრცე და განვითარების მეტი შესაძლებლობა იქნება.**

ეთერ ქენქაძე- **ბავშვებისთვის ბევრი რამე გაკეთდა, ამისთვის მარტო საბავშვო ბაღების კეთილმოწყობაც კმარა. არ შეიძლება არ აღვნიშნო ბავშვთა კვება, რომელიც ოთხჯერადია. დამეთანხმებით, პატარების ჯანმრთელობა სწორ და კარგ კვებასთან ასოცირდება. მოეწყო არა მხოლოდ შიდა სივრცე, არამედ საბავშვო-გასართობი მოედნებიც, სადაც ნორჩები თამაშობენ და ბედნიერები არიან**.

დედოფლისწყაროში ფუნქციონირებს 15 საჯარო სკოლა,აქედან ქალაქში-2, ხოლო სოფლად-13, სადაც 2 612 მოსწავლე და 425 მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2017 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 74 სსმ მოსწავლე.

დედოფლისწყაროში, 2013-2018 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა არაერთი პროგრამა, მათ შორის: „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით“ 70 ოქროსა და 35 ვერცხლის მედალოსანი გამოვლინდა; „საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით“ 8 საჯარო სკოლის (19 მიმართულება) 395 მოსწავლე სარგებლობს; სკოლის ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 3 საჯარო სკოლაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დასაქმებულმა კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 სკოლას, 2014 წელს-2 საჯარო სკოლას, 2015 წელს განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 7 პროექტი, 2016 წელს - განხორციელდა სოფელ არბოშიკის სკოლისა და პროფესიუ-

# „მე, საქართველოს პრეზიდენტი...“

***„მე საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის, ჩემი ხალხის და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“ – ამ სიტყვებით მოსახლეობას საქართველოს ახალი პრეზიდენტი არჩევნების ჩატარებიდან მესამე კვირას, ინაუგურაციის დღეს მიმართავს. საქართველოში რიგით მეშვიდე საპრეზიდენტო არჩევნები 2018 წლის 28 ოქტომბერს გაიმართება. მოსახლეობა ახალ პრეზიდენტს აირჩევს. იგი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რიგით მეხუთე პრეზიდენტი იქნება. მანამ, სანამ საქართველოს მოსახლეობა ამ სიტყვებს კიდევ ერთხელ მოისმენდეს, „შირაქის“ მკითხველს პრეზიდენტის თანამდებობის, მისი ინსტიტუტის ისტორიასა და იმ პროცესების შესახებ მოვუყვებით, რომელიც პრეზიდენტის არჩევის წესსა თუ უფლება-მოვალეობებს შეეხება.***

იმისთვის, რომ ყველაფერი დეტალურად განვიხილოთ, ისტორიულ წიაღში უნდა ვიმოგზაუროთ. ისტორიული წიაღი კი გვეუბნება, რომ საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი არც ისე დიდი ხანია რაც არსებობს. საქართველოს ისტორიის ფურცლებზე ის სულ რაღაც გასული საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა. 1991 წლის 14 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კანონი, რომლის საფუძველზეც დაწესდა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა. კონსტიტუციაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები ( დაემატა სპეციალური „ თავი 13[1] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი“, რომლითაც განისაზღვრა მისი უფლება-მოსილებები). იმავე დღეს უზენაესმა საბჭომ რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია უზენაესი საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. პრეზიდენტის არჩევნების წესს დეტალურად განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“. პირველი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა 1991 წლის 26 მაისს, რომელშიც ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა. ქვეყანაში 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა სამხედრო საბჭომ და დროებითმა მთავრობამ შეაჩერა გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის მოქმედება. 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეულმა პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომლითაც დაწესდა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა. მის ფუნქციებს ასრულებდა პარლამენტის თავმჯდომარე და ირჩევდა პარლამენტი. 1995 წელს კვლავ დაწესდა პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრა კონსტიტუციის მეოთხე თავში.

ახალი კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე, პრეზიდენტის უფლება-მოსილებები რამდენჯერმე შეიცვალა. კერძოდ, კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით, პრეზიდენტი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ის წარმართავდა და ახორციელებდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ამასთან, იყო ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. პრეზიდენტს ეკრძალებოდა პარალელურად სხვა თანამდებობის დაკავება. 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, მთავრობის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის უფლება-მოსილებები შეიზღუდა მთავრობის სასარგებლოდ. თუმცა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეინარჩუნა გარკვეული ფუნქციები. დაშვებული იქნა პარალელურად პარტიული თანამდებობის დაკავება. ამავე პერიოდში შემოღებულ იქნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინსტიტუტი. 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლიბებებით კვლავ შეიზღუდა პრეზიდენტის უფლება-მოსილება, ამჯერად მთავრობისა და პარლამენტის სასარგებლოდ. პრეზიდენტს ჩამოშორდა აღმასრულებელი ხელისუფლების პრაქტიკულად ყველა უფლება-მოსილება და კვლავ აეკრძალა პარტიული თანამდებობის დაკავება. პრეზიდენტის უფლება-მოსილებაში დარჩა სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციები.

მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წლის ასაკიდან მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. აღნიშნული წესი შემოღებული 2011 წლის 1 იანვრიდან. მანამდე პრეზიდენტად შეიძლება არჩეულიყო პირი, რომელსაც საქართელოში ნაცხოვრები ჰქონდა 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობდა საქართველოში.

საქართველოს პრეზიდენტს ამჟამად ოფიციალური რეგალიები არ გააჩნია. კანონმდებლობაში მხოლოდ „სახელმწიფოს გერბის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი იხსენიებს საქართველოს პრეზიდენტის შტანდარტს, როგორც მცირე სახელმწიფო გერბის გამოყენების ერთ-ერთ ობიექტს, თუმცა, მისი ოფიციალურად დამტკიცებული ფორმა არ არსებობს. არსებობს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ შემუშავებული რეგალიების რამდენიმე პროექტი - საქართელოს პრეზიდენტის შტანდარტი, დიდი სახელმწიფო ბეჭედი და საპრეზიდენტო გულსაკიდი მედალიონი, თუმცა არცერთი მათგანი ოფიციალურად დამტკიცებული არ არის. საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია საკუთარი ადმინისტრაცია, რომლის მიზანი არის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობა. მას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი. ადმინისტრაციას გააჩნია საკუთარი დებულება, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციის სტრუქტურა და საქმიანობის წესი.



2017 წლის 26 სექტემბერს, პარლამენტმა ათთვიანი განხილვის პროცესის შემდეგ ახალი კონსტიტუცია მიიღო. განისაზღვრა ქვეყნის მართვის საპარლამენტო მოდელი. შესაბამისად, სახელისუფლებო შტოებს შორის ძალთა ბალანსი. ასევე, არჩევნების სისტემაც. საპარლამენტო მოდელის ქვეყნებში ძლიერია აღმასრულებელი ორგანო, მთავრობა, ძლიერი ფიგურა კი პრემიერ-მინისტრი. გაძლიერებულია პარლამენტიც. პრეზიდენტი ამ ორ შტოს შორის არბიტრისა და დამბალანსებლის ფუნქციას შეასრულებს. მისი როლი განსაკუთრებული იქნება პარლამენტსა და მთავრობას შორის შესაძლო დაპირისპირებისა თუ კრიზისული სიტუაციების დროს, ასევე, მთავრობის კონტროლის და ანგარიშვალდებულების ბერკეტის გაძლიერების თვალსაზრისით. ახალი კონსტიტუციით ის სულ მცირე 40 წლის უნდა იყოს და კვლავ 5 წლის ვადით დარჩება თანამდებობაზე. მისი არჩევა აღარ მოხდება პირდაპირი წესით, მას დებატების გარეშე, არაპირდაპირი გზით, ფარული კენჭისყრით, საქართველოს პარლამენტის შენობაში აირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობასაც ცესკო ამტკიცებს. საარჩევნო კოლეგია შედგება ე.წ 300 ხმოსნისგან. ხმოსნები არიან საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, ასევე ადგილობრივი საკრებულოების შემადგენლობიდან შესაბამისი პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული პირები. ერთი და იგივე ადამიანის არჩევა საქართველოს პრეზიდენტად არჩევა მხოლოდ ორჯერ შეიძლება. პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 30 ხმოსანს. ერთ ხმოსანს შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმოსანთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 დაუჭერს მხარს. თუ პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩა, მეორე ტურში მონაწილეობს საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატი. გაიმარჯვებს ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს. თუ არჩევნები არ შედგა ან ამომრჩეველთა კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი ვერ აირჩია, 30 დღის ვადაში იმართება საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები.

პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევის სისტემის ცვლილების პროცესი ერთმანეთზეა დამოკიდებული, ამიტომ 2018 წელს პრეზიდენტს ბოლოჯერ ისევ პირდაპირი წესით ავირჩევთ, მაგრამ ამ წელს, გამონაკლისის სახით, არჩეულ პრეზიდენტს მმართველობის ვადა ერთი წლით გაუხანგრძლივდება იმისთვის, რომ მისი შემდეგი არჩევნები 2024 წელს, პარლამენტის პროპორციული სისტემით არჩევას დაემთხვეს.

საქართველო ამ არჩევნებით კიდევ ერთ გამოცდას აბარებს, რომლის შედეგებიც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იქნება პროპორციულ სისტემაზე გადასავლის წინ. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პრეზიდენტს კვლავ განსაკუთრებული როლი ექნება საგარეო ურთიერთობების გაძლიერებისა თუ მოლაპარაკებების პროცესში, მისი მესიჯები და ქმედებები კვლავ იქონიებს გავლენას ქვეყნის პრესტიჟზე, რეპუტაციასა თუ პრიორიტეტებზე. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პრეზიდენტს ექნება პლატფორმა, გაახმოვანოს მოქალაქეების ინტერესები და ისაუბროს მათი სახელით. ის კვლავ იქნება იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც კონსტიტუციის, დამოუკიდებლობის, განუყოფლობის, მოქალაქეთა უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ხალხისა თუ მამულის აღორძინების ფიცი ექნება დადებული.

**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# ვინ არიან პრეზიდენტობის კანდიდატები?!

| № | პრეზიდენტობის კანდიდატების წარმდგენები | პრეზიდენტობის კანდიდატი | თანამდებობა (საქმიანობა) |
|---|---|---|---|
| 1 | პ/გ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ | დავით ბაქრაძე | პარლამენტის წევრი (საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი), პარტიის წევრი/თავმჯდომარე |
| 2 | პ/გ „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“ | ზვიადი ბაღდავაძე | დროებით უმუშევარი |
| 3 | პ/გ „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“ | მიხეილ სალუაშვილი | პარტიის თავმჯდომარე |
| 4 | „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ | შალვა ნათელაშვილი | პარტიის წევრი/თავმჯდომარე |
| 5 | პ/გ „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“ | ირაკლი გორგაძე | დროებით უმუშევარი |
| 6 | „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ | გრიგოლ ვაშაძე | დროებით უმუშევარი |
| 7 | პ/გ პარტია „საქართველო“ | გიორგი ლილუაშვილი | საქ. ეროვნული აკადემია-ვიცე პრეზიდენტი; საქ. ეროვნული სამხედრო სამედიცინო აკადემია რექტორი, პარტიის თავმჯდომარე; ქ. თბილისის 81-ე საჯარო სკოლის ექიმი |
| 8 | ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი | სალომე ზურაბიშვილი | საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი |
| 9 | მპგ „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ | ზვიად მეხატიშვილი | პარტიის კომიტეტის წევრი |
| 10 | პ/გ „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“ | ვახტანგ ბაბუნია | პარტიის რეგიონული მდივანი |
| 11 | პ/გ „თავისუფალი დემოკრატები“ | დავით უსუფაშვილი | პარტიის “შენების მოძრაობა” ლიდერი |
| 12 | ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი | ბესარიონ თედიაშვილი | შპს „თფ ქონსტრაქშენს” დამფუძნებელი და დირექტორი; გოლფის ეროვნული ფერედაციის პრეზიდენტი; |
| 13 | პ/გ „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ | ლევან ჩხეიძე | შპს იურიდიული ფირმა “ჩხეიძე და პარტნიორები” დირექტორი |
| 14 | პ/გ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ (ედპ) | ზვიად იაშვილი | დროებით უმუშევარი |
| 15 | „გირჩი“ | ზურაბ ჯაფარიძე | საქ. უნივერსიტეტის პროფესორი |
| 16 | „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“ | აკაკი ასათიანი | პარტიის თავმჯდომარე |
| 17 | მპგ „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ | გელა ხუციშვილი | პარტიის პოლიტიკური მდივანი |
| 18 | პ/გ „თავისუფალი საქართველო“ | კახა კუკავა | პარტიის თავმჯდომარე |
|  | პმ „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“ | თამარ ცხორაგაული | მეწარმე |
| 20 | ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი | გიორგი ანდრიაძე | მეცნიერებათა აკადემია- ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პატრიარქის ფონდი |
| 21 | ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი | ვლადიმერ ნონიკაშვილი | შპს გამომცემლობა „პარაგრაფი“ დირექტორი |
| 22 | ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი | კახაბერ ჭიჭინაძე | კერძო ბიზნესი |
| 23 | „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ | მიხეილ ანთაძე | კულტურა, პოლიტიკა |
| 24 | „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ | ოთარ მეუნარგია | სასტუმრო „ბოჰო ტიფლისი”, IT სპეციალისტი - ქსელის ადმინისტრატორი |
| 25 | ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი | თეიმურაზ შაშიაშვილი | დროებით უმუშევარი |

# ოცნებიდან–რეალობამდე

ლი კოლეჯის „აისი“ რეაბილიტაცია. ამჟამად მიმდინარეობს ორი - გამარჯვებისა და ზემო ქედის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.

სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების გარდა, მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან უფასო სახელმძღვანელოებით და კომპიუტერებით. თუ ადრე სასკოლო სახელ-





მძღვანელოების შეძენა სერიოზულ თანხებთან იყო დაკავშირებული, ახლა ეს დღის წესრიგიდან მოიხსნა და მშობლებმაც შვებით ამოისუნთქეს-არც ერთი ბავშვი არ დარჩება სახელმძღვანელოსა და კომპიუტერის გარეშე.

### კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პოლიტიკა

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება(1





რაიონული და 13 სასოფლო ბიბლიოთეკა), ხელოვნების სკოლა (5 განყოფილება). ქორეოგრაფიული ანსამბლები- „შირაქი“, „ხორნაბუჯი“ და „იმედი“, ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლები: „ქიზიყი“, „მანდილი“ და „ხორნაბუჯი“, დედოფლისწყაროს ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“, თეატრალური კოლექტივი „ბარის ფშაველები“ და ბავშვთა თეატრალური სტუდია „არლეკინო“.

2018 წელს, 2013 წელთან შედარებით, დედოფლისწყაროს ბიუჯეტით, კულტურის სფეროს დაფინანსება 368,8 ათასიდან 654,5 ათას ლარამდე გაიზარდა, პირდაპირპროპორციულად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.

განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, კინოსტუდია“ ქართული ფილმისგან“ გამოისყიდეს კინოთეატრის შენობა, რომლის რეაბილიტაციის შედეგად მუნიციპალიტეტმა მიიღო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტის ცენტრი.

ქალაქ დედოფლისწყაროში გაიხსნა მუნიციპალური ბიბლიოთეკის ახალი შენობა, რომელიც ახალი, თანამედროვე სივრცეა არა მარტო წიგნის მოყვარულთათვის, არამედ ყველა დედოფლისწყაროელისთვის. განხორციელდა სოფლებში არსებული ბიბლიოთეკებისა და კულტურის სახლების რეაბილიტაცია, გარემონტდა საცეკვაო დარბაზი სოფელ სამთაწყაროში.ქალაქ დედოფლისწყაროში მოეწყო კულტურის სახლის გათბობა-კონდიცირების სისტემა, ღია ცის ქვეშ კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად შეიძინეს სცენის კონსტრუქცია.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მუნიციპალიტეტში არაერთი სპორტული ობიექტი აშენდა და რეაბილიტირდა. ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი სპორტული მოედნები მოეწყო.

არხილოსკალოში დახურული საჭიდაო არენა მოეწყო, რომელმაც უკვე უმასპინძლა რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირს.

დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი მუნიციპალიტეტის სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებებში, მათ ნებისმიერ წამოწყებას მხარს უჭერს ადგილობრივი ხელისუფლება.

### ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღების შემდეგ, 2013 წლიდან, საქართველოში ჯანდაცვის ბიუჯეტი 2,5 ჯერ გაიზარდა, რამაც ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა ფუნდამენტურად გაზარდა.

* პროგრამის ფარგლებში, 2,4 მლნ-ზე მეტი შემთხვევა დაფინანსდა;

* C ჰეპატიტის ელიმინაციის უპრეცედენტო პროგრამაში 36,5 ათასზე მეტი ბენეფიციარი ჩაერთო, რომელთაგან 29 ათასამდე პაციენტმა მკურნალობის კურსი წარმატებით დაასრულა;

* მთავრობის მიერ შექმნილი „სოლიდარობის ფონდის“ წარმატებული საქმიანობის შედეგად, სიმსივნით დაავადებული 379 ბავშვი და ახალგაზრდა განიკურნა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, მხოლოდ 2016 წელს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით 3 014-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, რაზეც 734 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა, იმავე წელს დაუფინანსდა:

* მშობიარობა და საკეისრო კვეთა-24 პაციენტს;

* გადაუდებელი ამბოლატორიული მომსახურება-2 272 ბენეფიციარს;

* დედათა და ბავშვთა პროგრამით ისარგებლა 114-მა პაციენტმა;

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, 676,5 ათასიდან 701 ათას ლარამდე გაიზარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ბიუჯეტი.

დედოფლისწყაროში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საავადმყოფო, რომელიც უახლესი და ძვირადღირებული სამედიცინო აპარატურით აღიჭურვა; წელიწადში რამდენჯერმე, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, გამოცდილ ექიმთა ბრიგადა უფასო სამედიცინო კონსულტაციებს ატარებს. ასევე, თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ მობილური ჯგუფი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გამოკვლევებსა და ოპერაციებს პერმანენტულად ატარებს. სამედიცინო მომსახურება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ხორციელდება.




გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1959 WLIS OQTOMBERI

● SOFEL WITELWYAROSI MCXOVREBMA GIORGI SVIMONISVILMA RAIONIS CENTRALUR SEMNAXVEL SALAROSI WARMOADGINA FULISA DA NIVTEBIS MEORE LATARIIS 5 MANETIANI BILETI, ROMELSAC XVDA DIDI MOGEBA - PIANINO, 5 265 MANETAD RIREBULI. XOLO, AMAVE DREEBSI SOFEL ARBOSIKSI MCXOVREBMA E. BACACASVILMA AMAVE LATARIASI MOIGO 2 300 MANETIANI KARGI RADIOLA `LUQSI~. CAERTET TQVENC, RATA GAANARDOT DIDI MOGEBEBI.

● ARBOSIKIS SASOFLO SABWOM UKVE DAAMTAVRA MASWAVLEBELTA SACXOVREBELI SAXLIS MSENEBLOBA DA MISI GADAXURVA. GEGMIT GANSAZRVRULIA, NOEMBRIS TVEMDE DAMTAVRDES SAXLIS SIDAKETILMOWYOBIS SAMUSAOEBI DA GADAECES IGI SAEQSPLOATACIOD. CVENI MASWAVLEBLEBI, ROMLEBIC MOMAVALI TAOBEBIS ARZRDIS SAQMESI DGANAN, RIRSEUL DAFASEBAS SAWIROEBEN.

● `1 MARTIDAN MUSAOBA DAIWYO SATRANSPORTO KANTORAM. AXLADSEQMNIL AVTOSATRANSPORTO KANTORASI AXLAXAN MIREBULI 3 AVTOBUSI MOMSAXUREOBAS UWEVS ZEMO MACXAANISA DA QEDEBIS ZONIS MOSAXLEOBAS. ZEMO MACXAANIS MIMARTULEBIT DRESI XUTI, XOLO QVEMO QEDISKEN DRIURAD SAM REISIT. MOKLE XANSI ERTI AVTOBUS DILISA DA SARAMOS SAATEBSI IVLI MARSRUTIT: SOFELI JAFARIZE - PURPRODUQTEBIS DAMZADEBIS PUNQTI. KANTORA MALE SAKMAO ODENOBIT MIIREBS ROGORC SATVIRTO, ISE MSUBUQI MARKIS TAQSEBS. SEIVSEBA TVITMCLELI D SXVA TIPIS SABARGO AVTOMOBILEBIC - GVWERS WITELWYAROS AVTOSATRANSPORTO KANTORIS UFROSI A. BROZELI.

● ARXILOSKALOSI CATARDA PIRVELADI PARTIULI ORGANIZACIIS KREBA, MOXSENEBIT GAMOVIDA KOLMEURNEOBIS TAVMJDOMARIS MOADGILE S. KOBAIZE, MA ARNISNA, ROM WELS SATIBI IYO 520 HA BALAXI. MAGRAM AR AQVT SAKMARISI FOCXEBI, `VALAKUSEBI~, ARSEBULI TRANSPORTIC AR ARIS MUSA MDGOMAREOBASI. MISI TQMIT, TAVTAVIANI KULTURA AIRE 3 000 HEQTARZE, MAGRAM 13 KOMBAINIDAN SAMZE AR HYAVDAT KOMBAINEREBI. AR ARIS DAKOMPLEQTEBULI XANZARSAWINAARMDEGO MOWYOBILOBEBIT, WYLIS KASREBIT, SILIS YUTEBITA DA CECXLMAQREBIT. SABURAVEBIS UQONLOBIS GAMO SAMUSAO MZADYOFNASI AR ARIS AVTOTRANSPORTI, AR ARIS SEZENILI SAWIRO RAODENOBIT TOMREBI DA SXVA MRAVAL NAKLOVANEBAZE ISAUBRES KAMATSI GAMOSULMA SXVA AMXANAGEBMAC. DASKVNITI SITYVIT KI GAMOVIDA PARTBIUROS MDIVANI S. ZURASVILI, ROMELMAC NAKLOVANEBEBIS GAMOSWOREBIS GZEBZE ILAPARAKA.

● RAMDENIME TVIS WINAT CVENS GAZETSI MOTAVSEBULI IYO SAREDAQCIO REIDIS MASALEBI, SADAC SAUBARI IYO, ROM ORJONIKIZIS KOLMEURNEOBIS GAMGEOBAM RAIARRICXVASI WARADGINA YALBI CNOBA KOMBAINEBIS REMONTIS SESAXEB. GAZETIT MXILEBULI FAQTI ZOMEBIS MISAREBAD GADAEGZAVNA KOLMEURNEOBIS PARTBIUROS, ROMLIS MDIVANIC, AMXANAGI KVANWILASVILI GVATYOBINEBS, ROM SAKITXI PARTBIUROZE GANIXILES, DAMNASAVES PARTIULI SASJELI DAADES. MIREBULIA ZOMEBI KOMBAINEBIS REMONTIS DACQAREBISTVIS.

● DIDI YURADREBA EQCEVA QVEYANASI FOLADIS WARMOEBIS GADIDEBAS. AMITOM, RAIONIS MOSWAVLE-KOMKAVSIRELEBMA DA PIONEREBMA NAYOFIERAD GAMOIYENES JARTIS SEGROVEBISA DA CABAREBIS ERTTVIURIS YOVELI DRE. AM PERIODSI SEIQMNA JARTIS SEMGROVEBELI DAMKVRELURI BRIGADEBI DA FARTOD GAISALA SOCIALISTURI SEJIBREBA. `RKINIS GANZIS~ MOSAPOVEBLAD MOZARDEBMA LASQROBA MOAWYES DA 20 TONAMDE JARTI SEAGROVES. AM SAPATIO SAQMESI DAWINAURDNEN WITELWYAROS RUSULI, QARTULI, ZEMO MACXAANIS DA ZEMO QEDIS SKOLIS KOMKAVSIRELEBI DA PIONEREBI. ERTTVIURIS GANMAVLOBASI JAMURAD 90 TONA JARTI SEGROVDA DA IS ISEV MIMDINAREOBS.

## 1979 WLIS OQTOMBERI

● ZAFXULIS GANMAVLOBASI RKINIGZIS LIANDAGIS GASWVRIV, ORIVE MXARES, 5-5 METRIS -MANZILZE NARIS DA BALAXIS MOSPOBIS MIZNIT IWAMLEBODA POLIZISA DA SIMAZINIS XSNARIT, RAC SASISIA ADAMIANEBISA DA CXOVELEBISATVIS. MOSAXLEOBAS VTXOVT, GAMOICINON SIFRTXILE DA RKINIGZIS ZONEBSI AR DAUSVAN PIRUTYVIS ZOVEBA, AN ARASRULWLOVANTA TAMASI.

● TURISTUL CNOBARSI UKVE ARINISNA CVENI RAIONIS UZVELESI DA UNIKALURI ZEGLI - XORNABUJIS CIXE-QALAQI. BEVRI GAKETDA, TUNDAC GZA, DARSA DA AVDARSI TAVISUFLAD MOZRAOBEN AVTOMANQANEBI. MOXDA CIXE SIMAGRIS GANATEBA, RAC ZEGLS UFRO DIDEBULS XDIDA RAMIT. GZIS MTLIAN MONAKVETZE GAKETDA DASASVENEBELI SKAMEBI QOLGEBIT. RIA CIS QVES ESTRADIS MOSAWYOBI XARACOEBI DA SEMOGARENIS GANATEBA, SASMELI WYALI DA MRAVALI SIKETE IYO GASUL RAMDENIME WELS. AMASWINAT XORNABUJIS GASWVRIV MARLOBZE MSVENIERI ODA-SAXLI CAIDGA, TELEFONIT, GAZQURIT DA YVELA MOWYOBILOBIT STUMREBIS DASAXVEDRI ADGILI IYO. VIRAC SINDISGARECXILMA PIREBMA KI GAZARCVES, DAGLIJES DA WAIRES. SAUKUNEEBIS MANZILZE MOZALEBULI GARESE MTREBI URTYAVDNEN, ANGREVDNEN, ISE VICAVDIT, VERAFERI-DA AKLES, ISEV AMAYAD GADAHYUREBS ALAZNIS VELS. AXLA KI CVENIVE SAUKUNIS GAREWREBI TAVAD APARTAXEBEN. SESAZLOA, ISINI AMAVE ADGILEBSI SAQARTVELOS DA DIDI WINAPREBIS SADIDEBEL SADREGRZELOEBSAC WRUPAVEN. RKINA RKINAZE SEDUREBULIC KI DAGLIJES, CABETONEBULI



1979 წ – სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფელ ჯაფარიძის გაღმა უბანში სკოლის მშენებლობა. სამუშაოებს უძღვება სოფლმშენის №15 მოძრავი მექანიზებული კოლონა. დასრულება 1980 წლისთვისაა დაგეგმილი. საქმის მწარმოებელი დავით ბენაშვილი მითითებებს აძლევს მუშებს.

SKAMEBI AMOIRES. AMASWINAT REDAQCIAM ZEGLI QARTVEL POETEBTAN ERTAD MOINAXULA, MAT DATVALIEREBISAS ZIZRI DA KRULVA GAMOXATES IM ARAMZADEBIS MIMART, VINC ASE GAACANAGAES MIDAMO. MOTORELIT GAMOIARA AXALGAZRDA KACMA, DARAJAD VAR GAMOYOFILIO. MAGRAM ES ROGORI DARAJOBAA, TU VERAFERS DAVICAVT? KARGIA DARAJI TU GAMOIYO, MAGRAM DAMNASAVE RATOM AR ISJEBA?

● `UKANASKNEL XANS ZEMO MACXAANIS AXALMA XELMZRVANELOBAM DIDI YURADREBA DAUTMO MIRZAANISA DA ZEMO MACXAANIS KETILMOWYOBAS. MACXAANSI GAFARTOVDA GZEBI, GZIS NAPIREBZE MOEWYO BETONIS WYALSAWRETI TXRILEBI, TROTUAREBI. WESRIGSI MOIYVANES RAMIS NATUREBI. CENTRS AMSVENEBS LAMAZAD GAFORMEBULI STENDI, SOFLIS SESASVLELEBSI GAAKETES SANISNEEBI. MIRZAANSI XELAXLA IGEBA ASFALTI, MAGRAM GULISTKIVILIT SEVNISNAVT, ROM ARBOSIKIS SAZRVARZE, SADAC WINAT EWERA SOFELI `MIRZAANI~, AXLA VKITXULOBT `ZEMO MACXAANI~. ES AR ARIS SWORI. MARTALIA, AM SASOFLO SABWOSA DA KOLMEURNEOBASI GAERTIANEBULIA ES ORI SOFELI, MAGRAM, ES AR NISNAVS, ROM SOFELI MIRZAANI ARAR ARSEBOBDES. MITUMETES MASIN, ROCA SOFLIS SAXELI MSOFLIOS XELOVNEBISA DA KULTURIS MSAXURTATVIS DIDI XANIA CNOBILIA~ - REDAQCIASI GAMOGZAVNIL WERILS XELS AWEREN MIRZAANELEBI DA FIROSMANIS MUZEUMIS TANAMSROMLEBI.

● SASINEL DRESIA ELIIS, ANU JAFARIZIS TBIS SEMOGARENI, ROMELIC SESANISNAVI REKREACIULI ZONA IYO. KETILMOWYOBILI SANAPIRO ROM DAANGRIES DA GAAPARTAXES, AMIS PATRONI DA MOMKITXAVI AR CANS, ARC DASJILI GVINAXAVS VINME. AQ BRAKONIEREBIS GAMOSAVLENAD RAMDENIME MCVELIA GAMOYOFILI. DROA, YVELAM, VISAC EXEBA ES SIGNALI, JAFARIZIS TBIS MIDAMOEBS SATANADO MZRUNVELOBA GAUWIOS, TOREM KULTURULI YOFISGAN ZALIAN SORS ARMOVCNDEBIT.

(STILI DACULIA)

**მოამზადა** ილია მარტყოფლიშვილმა

## კროსვორდი



**შვეულად** 1. მეფე, რომლის მრგვალ მაგიდას ამშვენებდა დევიზი: „ძალა - ეს ჯერ კიდევ არ არის სამართლიანობა, სამართლიანობა კი არის ძალა“ 2. მიწის ზედაპირზე გამოქონილი ნავთობი მიწისა და ცხოველების ნარჩენებით 3. ანოდთან დაწყვილებული ელექტროდი 4. გამარტივებული ინგლისური ენა 5. კიმ ბესინჯერის პარტნიორი ფილმში „9 1/2 კვირა“ 6. სინათლის, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთი, ზევსის შვილი 7. ბერძნულ მითოლოგიაში, რისი სიმბოლოა ქალი, რომელსაც მწვანე ფერის სამოსი აცვია და ღუზაზეა დაყრდნობილი 12. ერთმანეთთან ქიმიურად დაკავშირებული რამდენიმე ატომი 13. ბაქტერია, რომელიც ბინადრობს ადამიანის ნაწლავებში და იწვევს ტიფს 14. მცენარე, რომელიც მცენარეთა და ცხოველთა ხრწნადი ნარჩენებით იკვებება 15. პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი ძველ რომში 17. სოფელი ხაშურის რაიონში, მდინარე ჭერათხევის ნაპირზე 18. ინფექციური დაავადება „გაშეშება“ 20. კომპოზიტორი... კარგარეთელი 22. კონუსის ფორმის მილი, რომელსაც ხმის გასაძლიერებლად იყენებენ 25. პერუს დედაქალაქი

**თარაზულად:** 4. მთა საბერძნეთში, სადაც ძველი ბერძნების წარმოდგენით, აპოლონი და მუზები ცხოვრობდნენ 8. მუზეუმი სანქტ-პეტერბურგში, რომლის სახელწოდებაც „განცალკევებულ კუთხეს“ ნიშნავს 9. რა სახელით არის ცნობილი იტალიელი ფერმწერი ჯორჯო ბარბარელი და კასტელი ფრანკო 10. ცალთვალა რუსეთის სარდალი 11. ხელოვნური ბოჭკო – ერთდროულად შექმნეს ნიუ-იორკში და ლონდონში 12. მდინარე, რომელიც შენაკად მისურისთან ერთად სიგრძით მეორე ადგილზეა მსოფლიოში 16. „D“ ვიტამინის ნაკლებობით გამოწვეული ძვლების დაავადება 19. ჯუჯას სინონიმი, რომელიც ჯონათან სვიფტმა დაამკვიდრა მეტყველებაში 21. ძალიან იშვიათი ნივთი 23. ტიტანი, რომელიც იყო ურანოსისა (ცისა) და გეას (დედამიწის) შვილი და ზევსის მამა 24. გერმანელი კონსტრუქტორი, რომელმაც დირიჟაბლი გამოიგონა 26. ძველი საბერძნეთის – ელადის მკვიდრი 27. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი, რომლის ფსევდონიმი იყო „სიმარა“ 28. ფედერიკო ფელინის შემოქმედების მუზა

## მონატრება

### ანზორ ბაცაცაშვილი

10 ოქტომბერს შეგისრულდა ერთი წელი, რაც 80 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დაგვტოვე და იმქვეყნიურ სასუფეველში გადაინაცვლე. ყოველ საღამოს ელოდებოდი ბაკურის მოსვლას, ამბობდი, მიშიკო რომ მოვიდა, ბაკური რატომ არ მოდისო? შვილის სახლში მოსვლის იმედი რომ გადაგიწყდებოდა, მერე მიხვდებოდი, ხოლმე, რომ ბაკური აღარ გვყავს. უზომოდ დაგვწყვიტე გული , შენს ოჯახს და ახლობლებს უშენოდ ძალიან გვიჭირს. გვახსენდება შენი დარიგება და მზრუნველობა. ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შენი ოჯახი.

### ჯემალ ქეთელაური

ამბობენ „უფალს თავისთვის კარგები უნდაო“ და ალბათ ამით უნდა დაიმშვიდო თავი, როდესაც საყვარელ ადამიანს კარგავ. ეს გრძნობა იმდენად მძაფრია, იმდენად მტკივნეული, თითქოს გულიდან რაღაცას გგლეჯენ. სწორედ ასეთი ტკივილი გვარგუნა ცხოვრებამ, როდესაც წაგვართვა უძვირფასესი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი ჯემალ ქეთელაური, საუკეთესო მამა და მეუღლე, უთბილესი პაპა და უსაყვარლესი ადამიანი ნათესავებისათვის და ყველასათვის, ვინც კი მას იცნობდა. დაჯერებაც კი გვიჭირს, მასში ხომ სიცოცხლე ასე ჩქეფდა, თვალებში მზის სხივივით უბრწყინავდა ის ახალგაზრდული ჟინი, ის დაუზარელი სიკეთე და სიყვარული. ამბობენ „დრო მკურნალიაო“, არა, დრო უბრალოდ გვაჩვევს მის გარეშე ცხოვრებას, თორემ განკურნება ამ ტკივილის შეუძლებელია. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენგან წახვედი, მაგრამ დრო ზედმეტად ხანგრძლივი გვეჩვენება, ტკივილი კი ზედმეტად მოუშუშებელი. თითქოს უამრავი რამ მოხდა შენს გარეშე, ძალიან ბევრი დაგროვდა შენთვის მოსაყოლი. ყოველთვის გინდოდა, სტუდენტი გავმხდარვიყავი და ასეც მოხდა, თუმცა, უშენოდ, პაპა... მჯერა, რომ სადღაც, არამიწიერ ქვეყანაში გრძელდება სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ და იმისიც მჯერა, რომ ახლა შენ გვიყურებ და ოდესმე ჩვენით იამაყებ. მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი მიწა, ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო კეთილო ადამიანო.

**დიდი სიყვარულით და მონატრებით,** შენი ოჯახი

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის სახელით, ნანა ჭიჭინაძე სამძიმარს უცხადებს ამავე ასოციაციის აქტიურ წევრს ნიკოლოზ ბენიაიძეს, დეკანოზ გაბრიელ ბენიაიძეს მამის, მარიამ გვრიტიშვილ-ბენიაიძეს მეუღლის

ნოდარ ბენიაიძის

გარდაცვალების გამო.

# მოკრივეთა წარმატება





დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“-ს სპორტსმენები საერთაშორისო ასპარეზზეც ტრადიციულად აგრძელებენ წარმატებულ გამოსვლებს როგორც კიკბოქსინგის, ასევე პროფესიონალური კრივის ორთაბრძოლებში.

ახლახანს ქ. თბილისში საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის (პრეზიდენტი გოჩა ჯავახია) ორგანიზებით ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე კიკბოქსინგში, სადაც თურქეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ირანის და საქართველოს სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ლევან წიკლაურმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა თურქ სპორტსმენთან, ლევანმა პირველსავე რაუნდში შეძლო გამოცდილ მეტოქეზე უპირატესობის მოპოვება და ნოკდაუნით გამარჯვება მოიპოვა.

„ვულოცავთ ლევანს ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ იმ შრომის დაფასებას რომელიც მის მიერ არის სპორტში ჩადებული,“ – აღნიშნავს კლუბ „ჩემპიონის“ მწვრთნელი, თამაზ ყარაგვეზაშვილი..

ასევე, კარგად იასპარეზეს დედოფლისწყაროელებმა პროფესიონალური კრივის რინგზე სარეიტინგო ორთაბრძოლებში, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში პროფესიონალური კრივის ასოციაციის მიერ (პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი)

კიდევ ერთმა დედოფლისწყაროელმა მოკრივემ, ნიკა ფიროსმანაშვილმა, რომელიც 60კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობს, ბათუმელ მოკრივესთან საუკეთესო ორთაბრძოლა ჩაატარა და სპორტულ ასპარეზზე ერთწლიანი შესვენების შემდეგ მნიშვნელოვანი წარმატებით დაბრუნდა. ცნობისთვის: ნიკა სამომავლოდ აქტიურად ემზადება მაღალი რანგის შეჯიბრებებისთვის.

რაც შეეხბა გოგონების კრივს, აქ თავი გამოიჩინა ნინო ღვინიაშვილმა. ესაა გოგონა, რომელიც თავისი მონადინებით, შრომისმოყვარეობით და ვარჯიშის პროცესისადმი გულისხმიერი მიდგომით გუნდის ყველა სპორტსმენისთვის მაგალითად იქცა. ნინომ პროფესიონალურ კრივში უკვე მეოთხე წარმატებული ორთაბრძოლა ჩაატარა და ნელ-ნელა წინ მიიწევს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ხმის მიცემის წესი

**თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.**

აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში - დევნილის მოწმობაც).

დაუშვებელია პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის გარეშე საარჩევნო ბიულეტენის გაცემა. კენჭისყრის ოთახში შესვლამდე, სპეციალური ხელსაწყოთი შეგიმოწმებენ აღგენიშნებათ თუ არა ხელის თითზე მარკირება.

თუ არ აღგენიშნებათ, თქვენ გეძლევათ უფლება მიიღოთ კენჭისყრაში მონაწილეობა. თუ გამოვლინდა, რომ უკვე ხართ მარკირებული, აგეკრძალებათ კენჭისყრაში მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში თქვენს წინააღმდეგ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები.

მარკირების შემოწმების პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ, თქვენ მიდიხართ იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის პირველი ასო და რეგისტრატორს წარუდგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს).

რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში თვალით უხილავი სითხით გაგიკეთებთ მარკირებას. რის შემდეგაც რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში თქვენს პირად ნომერს შეიტანს. თქვენ გადმოგეცემათ საარჩევნო ბიულეტენი: საარჩევნო ბიულეტენების მიღებას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით დაადასტურებთ. საარჩევნო ბიულეტენების გაცემისას რეგისტრატორმა ხელი უნდა მოაწეროს ბიულეტენების უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და დაუსვას სპეციალური ბეჭედი; ამის შემდეგ თქვენ შედიხართ ფარული კენჭისყრის კაბინაში და გააკეთებთ თქვენს არჩევანს ბიულეტენში სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით. დაუშვებელია ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის შესვლა ფარული კენჭისყრის კაბინაში.

ბიულეტენი ისე უნდა დაკეცოთ რომ არ ჩანდეს, ვის მიეცით ხმა; დაკეცილი ბიულეტენით მიდიხართ განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებთ სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებთ ბიულეტენებს. აღნიშნულ კონვერტს აგდებთ საარჩევნო ყუთში, სადაც ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება. კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაგდების მერე თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ საარჩევნო უბანი.

თუ თქვენ არ შეგიძლიათ ბიულეტენების დამოუკიდებლად შევსება, უფლება გაქვთ, დახმარებისთვის მიმართოთ ნებისმიერ სხვა, თქვენთვის სასურველ პირს, გარდა კომისიის წევრებისა. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, კანდიდატისა და დამკვირვებლებისა. თუ საარჩევნო ბიულეტენი გაგიფუჭდათ, ამის შესახებ უნდა აცნობოთ კომისიის თავმჯდომარეს, რომლის დავალებით, რეგისტრატორი ვალდებულია, შეგიცვალოთ გაფუჭებული ბიულეტენი ახლით.

***კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობისას შეგიძლიათ არჩევანი გააკეთოთ გადასატანი ყუთის მეშვეობით.***

გახსოვდეთ:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის წარდგენის გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობა აკრძალულია;
- სხვის ნაცვლად ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერა, ბიულეტენების მიღება და ხმის მიცემა დაუშვებელია;
- არავის აქვს უფლება, თქვენი თხოვნის გარეშე, იმყოფებოდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან თქვენს ნაცვლად შეავსოს ბიულეტენები;
- მხოლოდ თქვენ გაქვთ უფლება, საარჩევნო ბიულეტენები მოათავსოთ სპეციალურ კონვერტში, დაუშვებელია საარჩევნო კომისიის წევრის მიერ შევსებული საარჩევნო ბიულეტენების გახსნა ან კენჭისყრის ფარულობის სხვაგვარი დარღვევა;
- კენჭისყრა ფარულია; ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა;
- საარჩევნო ბიულეტენზე რეგისტრატორმა თქვენს თვალწინ უნდა მოაწეროს ხელი და დაუსვას ბეჭედი. თუ ბიულეტენზე არ აღმოჩნდება ბეჭედი და ხელმოწერა, ასეთი ბიულეტენი ბათილად გამოცხადდება და თქვენი ხმა არ იქნება გათვალისწინებული შედეგების შეჯამებისას;
- კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების შემდეგ, თქვენ არ შეგიძლიათ იმავე ან სხვა საარჩევნო უბანში ხელახლა მიიღოთ მონაწილეობა არჩევნებში.
- აკრძალულია საარჩევნო ბიულეტენის და კონვერტის საარჩევნო უბნიდან გატანა
- აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს თქვენი ნების თავისუფალ გამოვლენას.



## ულოცავენ!

### ნია მელაშვილს!



ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, რა დრო გასულა, დაუჯერებელია, შენ უკვე 20 წლის გახდი! 1998 წლის 18 ოქტომბრის დაუვიწყარი ღამე, გადაუღებლად წვიმდა, გამთენიისას შენ მოევლინე ამ ქვეყანას და მზე გააბრწყინე ჩემს გულში. მას მერე მოვდივართ ჩვენი გასაჭირით და ჩვენი სიხარულით ერთმანეთს მჭიდროდ გადაჯაჭვულნი. უფალს ვთხოვ, სიკეთე და ბედნიერება გამოიმეტოს შენთვის ჩემო უანგარო, გულწრფელო და კეთილო გოგო, გილოცავ დაბადების 20 წლისთავს. იყავ ჯანმრთელი და წარმატებული.

**სიყვარულით,** შენი ნაირა ბებო.

### არსენ ყოჩიაშვილს!

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის სახელით, ამავე ასოციაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრს არსენ ყოჩიაშვილს გულწრფელად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს – 19 ოქტომბერს – 25 წლის გახდი. შენს საამაყო მშობლებთან გოჩა ყოჩიაშვილთან და მარიკა პოპიაშვილთან, ერთადერთ ძმასთან- დათოსთან ერთად , გისურვებთ ჯანმრთელობას და შენი მიზნების ასრულებას.

**პატივისცემით,** დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია.

### დემნა ალადაშვილს!
### თეონა ბეჟანიშვილს!

ჩვენო ძვირფასებო, დემნა და თეონა! გილოცავთ ოჯახის შექმნას. გისურვებთ ულევ სიხარულს, ბედნიერებასა და კეთილდღეობას. სამაგალითო, ძლიერი, მტკიცე და საიმედო ოჯახი გქონოდეთ. სიყვარულის თბილი შუქი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანმდევი. აკვანთა სიმრავლე დაგბედებოდეთ. იხარეთ და იბედნიერეთ.

არბოშიკის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

### ქეთი ტოკლიკიშვილს!
### ილია ალუღიშვილს!

ჩვენო ძვირფასო უახლოესო ნათესავებო, ქეთი და ილია! ვუერთდებით თქვენი ოჯახის დიდ სიხარულს და გილოცავთ მესამე შვილის, გაბრიელის დაბადებას, რომელიც ამ ქვეყანას 10 ოქტომბერს მოევლინა. პატარა გაბრიელს თავის და-ძმასთან- გიორგისთან და მარიამთან ერთად ვუსურვებთ ულევ სიხარულს, ურთიერთსიყვარულს, მზიან და თავისუფალ საქართველოში ბედნიერ ცხოვრებას.

**დიდი სიყვარულით,**
გულნარა ტვილდიანი, ლამარა და ნანა ჭიჭინაძეები ოჯახებით


## ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება სახლი ბელეტაჟზე, სოფ. ჭოეთში 5700 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, ოროთახიანი კალიდორით, არის კაპიტალურად აშემებუილი, ჭით და ფუტკრით.

☎ 599 22 40 20 ვასიკო.

## იყიდება!

დედოფლისწყაროს რაიონში სოფელ ხორნაბუჯში იყიდება სახლი ბელეტაჟზე, 3 ოთახიანი, სუფთა მდგომარეობაში, ავეჯით, ბუნებრივი გაზით, სარდაფით, დიდი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით - ფართი 3,333 კვ.მ. ნაკვეთზე, გარდა სახლისა, განლაგებულია საზაფხულო სამზარეულო, აბანო და საქათმე. სახლთან არის წყლის ჭა, რომელიც ზაფხულში არ შრება. გატარებულია რეესტრში, საკადასტრო კოდი 52.06.37.039 სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის ფასი - 15,000 ლარი.

☎ 599 551097 თინა ან 599 568567 ქეთინო.

## ი ყ ი დ ე ბ ა !

სამოთახიანი არასტანდარტული, კეთილმოწყობილი ბინა, ავტოფარეხით- 9 ძმის ქ. №1 ბეკოს თავზე მეორე სართული.

საკონტაქტო ტელეფონი:

☎ 599 53 06 16;

ქ. დედოფლისწყაროში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ყოფილი მესამე სკოლის (ილიაუნის ფილიალი) წინ, იყიდება ერთოთახიანი კორპუსის ბინა პირველ სართულზე, სათავსოთი. რუსთაველის ქუჩა №116.

**ფასი: 2 700 $.**

☎ 593 275–275

## იყიდება!

იყიდება კორპუსის სამოთახიანი ბინა.

მისამართი: რუსთაველის ქ №4, კორპუსი 31, მე-2 სართული, ბინა 9, სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომალაზიის მაღლა.

☎ 555 23 26 80

ეკატერინე. ფასი შეთანხმებით.


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 29.10 | | სამშაბათი 30.10 | | ოთხშაბათი 31.10 | | ხუთშაბათი 01.11 | | პარასკევი 02.11 | | შაბათი 03.11 | | კვირა 04.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 9° | 8° | 11° | 8° | 11° | 8° | 11° | 9° | 10° | 8° | 12° | 10° | 11° | 9° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.